უნივერსიტეტის შესახებ ვრცელი ინფორმაცია ასახულია აგრეთვე ვიკიპედიაშიც: https://ka.wikipedia.org/wiki/გრიგოლ_რობაქიძის_სახელობის-უნივერსიტეტი.

ამიტომ მართველობის ანგარიშგების ქვემოთ მოცემული სავალდებულო ნაწილი - **საქმიანობის მიმოხილვა** წარმოადგენილია მხოლოდ ძირითადი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაკვეთებით. ანგარიშის სტრუქტურა, ფაქტობრივად, უცვლელია, მაგრამ ამასთან, მასში ასახულია საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ძირითადი მოვლენები და საქმიანობის შედეგები.

საქმიანობის მიმოხილვა:

ზოგადი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ ისტორიული წარსულიდან

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი – კერძო უმაღლესი სასწავლებელი, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 1992 წლიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 200002120. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). მისი დამფუძნებლები არიან: მამუკა აბესალომის ძე თავხელიძე; თამარ ონისიმეს ასული ციხისელი და ეკატერინე თეიმურაზის ასული ბატიაშვილი.

დაარსებისას უნივერსიტეტს ერქვა დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „ალმა-მატერ“. 1995 წლის 20 ოქტომბრიდან კი დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გრიგოლ რობაქიძის სახელს ატარებს.

საწყისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1100 აშშ დოლარს.

2001 წლის 7 აპრილიდან, გარდაცვლილი პარტნიორის - თამარ ონისიმეს ასული ციხისელის წილი გადაეცა მემკვიდრეს - მამუკა აბესალომის ძე თავხელიძეს. საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 2400 ლარამდე და პარტნიორთა წილობრივი თანაფარდობა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

მამუკა თავხელიძე, პ/ნ 01020006864 - 75%;

ეკატერინე ბატიაშვილი, პ/ნ 01005011489 - 25%.

აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა აკისრია დირექტორს, უნივერსიტეტის რექტორს - **მამუკა თავხელიძეს**.

უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: 0131, საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ირინა ენუქიძის ქუჩა №3 (საქმიანი ურთიერთობებისთვის 2018 წლის 27 ივნისამდე მისი იურიდიული მისამართი იყო დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.). **ელ-ფოსტა:** m.tavkhelidze@gruni.edu.ge; **ვებ-გვერდი:** www.gruni.edu.ge.

სუბიექტის ხელმძღვანელობისა და პარტნიორების შესახებ საანგარიშგებო პერიოდში სამეწარმე რეესტრის მონაცემები არ შეცვლილა.

ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საუნივერსიტეტო საქმიანობის, ფაქტობრივად, ყველა ინფორმაცია (უნივერსიტეტის, ადმინისტრაციის, ადმინისტრაციის აპარატის, უნივერსიტეტის სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიური პერსონალის, განხორციელებული კვლევების, სწავლების, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის შესახებ, განვითარების სტრატეგიის, ბიზნესუწყვეტობის და სხვა). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

უნივერსიტეტის, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი კერძო სამართლის სუბიექტის, მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა

კრება. ამასთან, უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ადგილების ზღვრული რაოდენობა გათვლილია 2000 სტუდენტზე. მისი ძირითადი საქმიანობაა საგანმანათლებლო-კვლევითი და საზოგადოებრივი სერვისის მიწოდება. ამ მხრივ, მისი, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების, მართვის ორგანოებია რექტორი და აკადემიური კომიტეტი.

საგანმანათლებლო-კვლევითი მმართველობა სამი სტრუქტურული ერთეულისგან შედგება. ესენია:

1. ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულები (აკადემიური სკოლები, ბიბლიოთეკა, კლინიკები).

2. კვლევითი სტრუქტურული ერთეულები (კვლევითი ცენტრები, ინსტიტუტები, კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც შეიძლება გაერთიანებული იყოს სკოლების შემადგენლობაში).

3. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები (ადმინისტრაციული აპარატი, რომელშიც შედის ყველა ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც აუცილებელია უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციების განხორციელებისათვის).

უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიურ (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებს. ამჟამად უნივერსიტეტში მოქმედებს 11 საბაკალავრო, 5 სამაგისტრო, 5 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები, მოქმედებს აგრეთვე 6 დამატებითი პროგრამა (Minor) სასწავლო დისციპლინებით ჟურნალისტიკა და მასობრივო კომუნიკაცია, ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი), ტურიზმი და ფსიქოლოგია.

ბაკალავრიატი, როგორც საუნივერსიტეტო განათლების პირველი საფეხური, ისეთი აკადემიური პროგრამების ერთობლიობაა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა პროფესიულ მომზადებას და შემდგომი აკადემიური ციკლის - მაგისტრატურისთვის აუცილებელი თეორიული საფუძვლების სწავლა/სწავლებას. ბაკალავრიატში სწავლა გულისხმობს არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვებას;

მაგისტრატურა, როგორც საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხური, ისეთი აკადემიური პროგრამების ერთობლიობაა, რომელიც შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და გულისხმობს ბაკალავრის შემდგომი, უფრო მაღალი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებას. მაგისტრატურაში სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ყოველი კონკრეტული პროგრამით და მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;

დოქტორანტურა არის უნივერსიტეტის მესამე საგანმანათლებლო საფეხური, რომელიც გულისხმობს სასწავლო და კვლევითი პროგრამების ერთობლიობას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2018 წელს უნივერსიტეტმა შვიდივე სტანდარტის მიხედვით დადებითი შეფასება დაიმსახურა და კიდევ ექვსი წლით მიიღო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლება. უნივერსიტეტმა გაიარა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.

წარმომადგენლობის შესახებ

2014 წლის მარტში ბათუმში დაარსდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობა (მისამართი: მახინჯაური - თამარ მეფის გამზ N 60, ტელ: 0422 24 51 33, +99 5 571 34 34 20, Mail: g.turmanidze@gruni.edu.ge; ხელმძღვანელი ამირან მესხიშვილი ტელ: (+995 0422)245133 ელ. ფოსტა: a.meskhishvili@gruni.edu.ge).

ბათუმის წარმომადგენლობაში ფუნქციონირებს ოთხი: საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების, ბიზნესისა და მართვის და სამართლის აკადემიური სკოლა. ყველა სკოლა გამოირჩევა მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით.

წარმომადგენლობაში ხორციელდება 5 აკადემიური პროგრამა: სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები, საჯარო მმართველობა და პოლიტიკა, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია. ასევე,

ქართულ-გერმანული სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობასა და ადმინისტრირებაში.

სასწავლო დისციპლინის ფარგლებში, სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს უძღვებიან ადგილობრივი წამყვანი სპეციალისტები, ხოლო თეორიულ კურსებს, ძირითადად, თბილისიდან ჩასული პროფესორები და სპეციალისტები კითხულობენ.

ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტები სარგებლობენ ყველა იმ სერვისით, რომელსაც უნივერსიტეტი თავის სტუდენტებს სთავაზობს, მათ შორის, უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროექტებში მონაწილეობა, ერაზმუს-მუნდუსის პროგრამებში ჩართვა, უცხოეთში სტაჟირებაზე გაგზავნა და ა.შ. დეტალები იხ. <http://www.gruni.edu.ge/schools/index/1460704212>.

რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

უნივერსიტეტის მისიის და დანიშნულების უზრუნველყოფისთვის გენერალურ მიმართულებას წარმოადგენს კაპიტალური, ტექნოლოგიური, ფინანსური, აკადემიური და სამეცნიერო რესურსების განვითარება.

უნივერსიტეტს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება მისი მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს. მათ შორის: თბილისში, ჯანო ბაგრატიონის №6 (საკადასტრო კოდი: 01.10.14.029.001, მიწის ფართი - 705 კვ.მ. შენობის ფართი 1451,3 კვ.მ) - ძველი კორპუსი დათმობილი აქვს მედიცინის (სტომატოლოგიის) მიმართულებას; თბილისში, ირინა ენუქიძის №3 (საკადასტრო კოდი: 01.72.14.013.331, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართი 7300 კვ.მ, შენობა-ნაგებობა №1, საერთო ფართობი 4716,37 კვ.მ.), განთავსებულია ახალი სასწავლო კორპუსი; ბათუმში, მახინჯაურის დასახლება (საკადასტრო კოდი: 05.34.23.131, 1 164,40 კვ.მ.), ხანგრძლივადიანი იჯარითაა აღებული შენობა; თბილისში, ირინა ენუქიძის №5ა (საკადასტრო კოდი: 01.72.14.013.679, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 726 კვ.მ. მიწის ფართი) და თბილისში, დ.

აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ (საკადასტრო კოდი: 01.72.14.013.680, 3569 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის საერთო ფართობით 2150,0 კვ.მ).

უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებულ კომფორტს ქმნის ახალი სასწავლო კორპუსი (სრულ ექსპლოატაციაში შევიდა 2015 წლიდან), რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო და ტექნოლოგიური რესურსებით (აუდიტორიები, ლინგვო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კრიმინალისტიკის ცენტრი, კომპიუტერული კლასები); შექმნილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო - ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; დამონტაჟებულია ელექტრო სტაბილიზატორები ელექტროენერგიის უსაფრთხოების მიზნით - უზრუნველყოფილია სრული ბუნებრივი განათებით და 24 საათიანი დღის სინათლის ელექტრო განათებით, სტუდენტების კვების ბლოკით, ერთდროულად 100-მდე სტუდენტის მომსახურების შესაძლებლობით; აქვეა განთავსებული უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი.

უნივერსიტეტს საკუთრებაში აქვს ფიზიკური და ტექნიკური რესურსები, მდიდარი ბიბლიოთეკა, ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის; ორი საქვაზე ცენტრალური გათბობის უზრუნველსაყოფად; დერეფნის გასათბობი ელექტრო სისტემა, რაც ერთობლიობაში უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას, მეორე მხრივ, ემსახურება პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო და კვლევითი მიზნების მიღწევას.

უნივერსიტეტს ქალაქის შემოგარენში (თბილისი, ირინა ენუქიძის ქუჩა №5), გააჩნდა ოთხსართულიანი, 100 სტუდენტზეა გათვლილი) კამპუსი (სტუდენტების საცხოვრებელი კორპუსი), რომელზეც ჩასატარებელი იყო სარემონტო სამუშაოები. ლარის დევალვაციისა და ხალიკბანკის არახელსაყრელი სასესხო პოლიტიკის გამო, უნივერსიტეტი იძულებული შეიქმნა გაეყიდა აღნიშნული აქტივი, რამაც ნეგატიურად იმოქმედა აქედან მოსალოდნელ შემოსავლების პერსპექტივაზე.

ისევე როგორც ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ფინანსური მდგრადობა წარმოადგენს უნივერსიტეტის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ამჟამად, უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების წარმოშობის წყაროს ძირითად წარმოადგენს სტუდენტების სწავლების გადასახადი, თუმცა შემოსავლების ნაწილი ასევე წარმოიშვება გრანტებიდან, სხვადასხვა მომსახურების საქმიანობიდან (კრიმინალისტიკის სასწავლო ცენტრი, სტომატოლოგიური კლინიკა). გრძელვადიანი კაპიტალური დანახარჯების და ინვესტიციების განხორციელებას უნივერსიტეტი აწარმოებს კომერციული ბანკებიდან მოზიდული სესხებით.

აკადემიური რესურსების განვითარებისა და მართვის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ მიდგომებს:

ა) საკუთარი შიდა რესურსის განვითარება - ეს ქმნის სტაბილური განვითარების გარანტიას.

ბ) შიდა საგრანტო პროგრამები სტუდენტებისათვის (ბაკალავრი, მაგისტრი) ლაბორატორიებში და კლინიკებში - ხელს უწყობს საკუთარი სამეცნიერო-აკადემიური „სკოლის“ და სტილის ჩამოყალიბებას.

გ) პრაქტიკოსების მოწვევა (მოწვეული კადრები, ძირითადად ლაბორატორიების და კლინიკების ხარჯზე) - ინდუსტრიების პროფესიონალების/პრაქტიკოსების მოწვევა და საგანმანათლებლო-კვლევით პროცესში აქტიური ჩართვა. პრაქტიკოსი პროფესიონალების მოწვევა ხორციელდება უნივერსიტეტის ხილვადობის გაზრდის პროგრამასთან კოორდინაციაში, სხვადასხვა ტიპის საჯარო ან/და ინდუსტრიებზე ორიენტირებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის გზით (მაგ. ბიზნეს ფორუმები, დარგობრივი კონფერენციები, სემინარები, გამოფენები, სტუმარი ლექტორის პროგრამა და ა. შ.).

საერთაშორისო ინტეგრაცია

დაფუძნებიდან მალევე, უნივერსიტეტი იწყებს აღმავალ განვითარებას, მონაწილეობს საერთაშორისო ფორუმებში, იღება ხელშეკრულებები და ფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმები მსოფლიოს წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სტუდენტები ერთვებიან გაცვლით პროგრამებში, ტარდება

საერთაშორისო სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციები. თავის მხრივ, უნივერსიტეტს სტუმრობენ გამოჩენილი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ლექციებს კითხულობენ საქვეყნოდ ცნობილი პროფესორები.

მიზანმიმართულმა და სწორად განსაზღვრულმა სტრატეგიამ განაპირობა უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარება, ინტეგრაცია მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სასწავლო პროგრამებთან.

ისტორიული ფაქტების შესახებ ვრცელი ინფორმაცია ასახულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: იხ. http://www.gruni.edu.ge/menu_content/index/266.

ანგარიშგების ამ ნაწილში ავლნიშნავთ მხოლოდ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან შემდეგ ფაქტებს:

✓ **1995 წელს** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი შედის მსოფლიო უმაღლესი სასწავლებლების კატალოგში (საქართველოდან მხოლოდ 5 კერძო უმაღლესი სასწავლებელი);

✓ **1996 წელს** - უნივერსიტეტი აფუძნებს საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკას (კერძო სასწავლებელთა შორის პირველად);

✓ **1998 წელს** - სტომატოლოგიურ კათედრაზე, პირველად საქართველოში, დამუშავდა სტომატოლოგიური სწავლების კომპიუტერული პროგრამა ქართულ ენაზე (საავტორო უფლება 01/3-3-40);

✓ **2004 წელს** - უნივერსიტეტი უმაღლესი შეფასებით იღებს სახელმწიფო აკრედიტაციას. ყოველი პარამეტრით იგი 13,6-ჯერ აჭარბებს დადგენილ ნორმატივებს.

✓ **2006 წელს** - უნივერსიტეტი მეორედ იღებს სახელმწიფო აკრედიტაციას. ის კერძო სასწავლებლებს შორის, მისაღები კონტინგენტის ყველაზე მაღალ ქვოტას იღებს - 333 სტუდენტი.

✓ **2006 წლიდან** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი შესულია World List of Universities-ში (მსოფლიო უნივერსიტეტების კატალოგი) და აღიარებულია გერმანიაში.

✓ **2007 წელს** - უნივერსიტეტი იწყებს უპრეცედენტო პროექტის განხორციელებას, ქართულ-ბრიტანულ-უნგრული პროგრამით სტუდენტთა მიღებას, რაც ნიშნავს ერთდროულად

ოქსფორდის ბრუკის უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხისა და დიპლომის და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხისა და დიპლომის მინიჭებას.

✓ **2008 წელს** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი გახდა ევროპული სამართლის ფაკულტეტების ასოციაციის (ELFA) სრული წევრი, რის შედეგადაც უნივერსიტეტს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს მონაწილეობა ამ ასოციაციის მიერ გამართულ კონფერენციებსა და სემინარებში და იყოს პრივილეგირებული პარტნიორი მათ პროექტებში.

✓ **2008 წელს** - დაიდო პარტნიორული ხელშეკრულება საერთაშორისო ორგანიზაციასთან STUDEX, რაც უნივერსიტეტის სტუდენტებს აძლევს საშუალებას დარეგისტრირდნენ სპეციალურ ვებ-გვერდზე, რის შემდეგაც მათ შეუძლიათ შეარჩიონ მათთვის სასურველი უნივერსიტეტი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შესაბამის პროგრამაზე (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) სწავლის გასაგრძელებლად. <http://www.studdex.com/university/university-of-grigol-obakidze/4820/>

✓ **2009 წელს** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი შევიდა Ullbe - მსოფლიოს უნივერსიტეტებისა და კოლეჯების კატალოგში. <http://www.ullbe.com/index.php?tbl=univ&act=search>

✓ **2012 წელს** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელდა დაიწყო ერაზმუს მუნდუსის პროგრამის EMINENCE პროექტმა.

✓ **2015 წელს** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი გახდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების სკოლებისა და ინსტიტუტების ქსელის (NISPAcee) წევრი;

✓ **2016 წელს** - უნივერსიტეტმა გაიმარჯვა ევროკავშირის პროგრამის ერაზმუს+ (Erasmus+) პროექტში. პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის პარტნიორია ლაზარსკის უნივერსიტეტი (პოლონეთი), იან კოხანოვსკის სახელობის უნივერსიტეტი (პოლონეთი), შჩეცინის უნივერსიტეტი (პოლონეთი).

✓ **2016 წელს** - უნივერსიტეტმა გაიმარჯვა ევროკავშირის პროგრამის ერაზმუს+ (Erasmus+) პროექტში მობილობა+2 (Mobility+2). პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის პარტნიორია პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია).

2017 წელი, როგორც საანგარიშგებო პერიოდი, უხვი იყო საუნივერსიტეტო ღონისძიებებით, მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

2017 წელს - დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება კლაიპედას უნივერსიტეტთან (ლიტვა), რაც ითვალისწინებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობასა და ერთობლივ სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას.

✓ **2017 წელს** - დაიდო მემორანდუმი დელტას სახელმწიფო უნივერსიტეტთან (აშშ), რაც ითვალისწინებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობასა და ერთობლივ სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას.

✓ **2017 წელს** - დაიდო ხელშეკრულება ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტთან (პოლონეთი), რაც ითვალისწინებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობასა და ერთობლივ სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალის „წელიწდეული“ გამოცემას.

✓ **2017 წელს** - მოეწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას პარი სორბონ აბუ-დაბის უნივერსიტეტთან. შეთანხმება ითვალისწინებს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბაზაზე მოსამზადებელი ცენტრის დაფუძნებას საფრანგეთის ნებისმიერ უნივერსიტეტში, უპირატესად, პარიზის სორბონის უნივერსიტეტსა და სორბონის აბუ-დაბის კამპუსში ჩასარიცხად.

✓ **2017 წელს** - დაიდო თანამშრომლობის მემორანდუმი აგილ პრეს ვენჩერსთან (აშშ), რაც ითვალისწინებს სტუდენტების სტაჟირებას ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიებში.

✓ **2017 წელს** - საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით უნივერსიტეტში დაარსდა პროფესიული ეთიკის განვითარების ცენტრი.

✓ **2017 წელს** - უნივერსიტეტმა გაიმარჯვა ევროკავშირის პროგრამის ერაზმუს+ (Erasmus+) რამდენიმე პროექტში. პროექტის პარგლებში უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტებია: პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია), ლაზარსკის უნივერსიტეტი (პოლონეთი), შჩეცინის უნივერსიტეტი (პოლონეთი), იან კოხანოვსკის სახელობის უნივერსიტეტი (პოლონეთი), სლუჰსკის ზღვისპირა უნივერსიტეტი (პოლონეთი).

2019 წელს განხორციელებული აქტივობები

2019 წელიც, როგორც წინამორბედი წლები, დატვირთული იყო ადგილობრივი, საერთაშორისო თუ ინტეგრაციული სხვადასხვა ღონისძიებით. კერძოდ: 4 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში სტუდენტების ინიციატივით გაიმართა აქცია - „სისხლის უანგარო დონორი“.

29 ნოემბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უწყებათაშორისი საბჭოს მიერ დაგეგმილი თექვსმეტდღიანი კამპანიის - „გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“, ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორებმა დავით ხარძეიშვილმა და რომან ბოლქვაძემ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს.

25 ნოემბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, სტარტი მიეცა ახალგაზრდულ აქციას *სახელწოდებით: სტუდენტური გადაძახილი - არა დამოკიდებულებას, რომელიც* მიზნად ისახავს ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობას და სტუდენტთა გაერთიანებას ამ იდეის გარშემო. ამ აქციის ფარგლებში, უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია,

ნოემბერში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა შიდასაუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „GRUNI- ბათუმი 2019“. კონფერენციის მიზანი იყო სამეცნიერო საქმიანობაში სტუდენტთა აქტიურად ჩართვა და სტიმულირება, ინოვაციურ ბიზნესგარემოსთან, საჯარო სექტორსა და აქტუალურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებული ახალი იდეების გენერირების ხელშეწყობა და კვალიფიკაციური სპეციალისტების მომზადება.

უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები სასწავლო ვიზიტის ფარგლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრს ეწვივნენ. აღნიშნული

ინსტიტუცია წლებია თანამშრომლობს უნივერსიტეტთან და სტუდენტები საგანმანათლებლო დაწესებულებაში თეორიულად მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად სწორედ პარტნიორ სამართლებრივ უწყებებში განიმტკიცებენ.

უნივერსიტეტმა, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან (AUF) თანამშრომლობის ფარგლებში, უმასპინძლა საქართველოს საშუალო სკოლების ფრანგული ენის პედაგოგებს. შეხვედრაზე განიხილეს ჩვენს ქვეყანაში ფრანკოფონიასთან დაკავშირებით არსებული მიღწევები და გამოწვევები, მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მოსაზრებები აღნიშნული პრობლემების გადაჭრის თაობაზე.

მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ხელმოაწერა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ვებსტერის უნივერსიტეტთან, რომლის საფუძველზე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ რამდენიმეთვიანი სასწავლო კურსი გაიარონ ამ უნივერსიტეტში, შეიძინონ ცოდნა და ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ ევრო-ატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებს, სწავლის დასრულების შემდგომ კი მიიღონ ორივე უნივერსიტეტის დიპლომი და აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების ან ფსიქოლოგიის მიმართულებით.

17 ოქტომბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს ისრაელის ოფიციალური დელეგაცია ეწვია საპარლამენტო პარტია „ავოდას“ თავმჯდომარის ამირ ფერეცის ხელმძღვანელობით.

ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტში ჰოლოკოსტის ისტორია ისწავლება, რომელსაც ისტორიის დოქტორი ნონა ჭანტურია ხელმძღვანელობს, სწორედ ამ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუმრებმა სტუდენტებისათვის საჯარო ლექცია წაიკითხეს.

17 ოქტომბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, გაიმართა 90-იანი წლების ეზოს თამაშები! სტუდენტებმა გააცოცხლეს ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსული, საქართველოს ისტორიის რთული პერიოდი - 90-იანი წლები და უნივერსიტეტის ეზოში შექმნეს იმ დროისთვის დამახასიათებელი ატმოსფერო.

მართვის სტილი, კომუნიკაციის ფორმალური და არაფორმალური არხები

მართვის და ორგანიზაციული განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს გადაწყვეტილებათა მიღების დელეგირება, ასევე ეფექტური კომუნიკაციური არხების ჩამოყალიბება ორგანიზაციის მართველ რგოლებსა და თანამშრომლებს შორის. უნივერსიტეტის ფუნქციონირების პერიოდში ფაქტობრივად ჩამოყალიბდა კომუნიკაციის, დელეგირების, გუნდის შექმნის, გადაწყვეტილების მიღების და ლიდერობის, მმართველობითი სტილები, რაც დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

- ყოველი პოზიციისთვის თანამდებობრივი ინსტრუქციის არსებობა;
- სათანადო დელეგირება შესაბამისი ძალაუფლებით;
- ორგანიზაციის ყველა თანამშრომლებს შორის მუდმივი ინტერაქცია;
- კარგი ინტრაორგანიზაციული კომუნიკაციური სისტემა მათ შორის უკუკავშირის მექანიზმებით;

- რეგულარული, მიზანმიმართული და კარგად ორგანიზებული თათბირები;
- თანამშრომელთათვის ერთმანეთის როლების და ფუნქციების ნათლად გაცნობა;
- კარიერული განვითარების შესაძლებლობები;
- მტკიცე გუნდური სული;
- წახალისების სისტემის არსებობა.

სტრუქტურის დამტკიცების, თანამდებობრივი ინსტრუქციების ჩამოყალიბების და მმართველობითი რგოლების განსაზღვრის შემდეგ ხორცილედება არსებული თანამშრომლების განაწილება და გადაყვანა, მათთვის თანამდებობრივი მოვალეობების გაცნობა და ახალი პოზიციების მიხედვით შრომითი ხელშეკრულების გაფორმება ყველა თანამშრომელთან.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარება

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარება ხორციელდება საგანგებოდ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების ინსტრუქციის შესაბამისად. ეს ინსტრუქცია მოქმედებაშია 2016 წლიდან და ადგენს უნივერსიტეტის, მისი სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიის განსაზღვრის ზოგად წესს - მეთოდოლოგიას, პრინციპებს, პროცედურას, აყალიბებს მისი პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმს. მასზე დაყრდნობით უნივერსიტეტი ახდენს, ყოველი განსაზღვრული პერიოდისათვის, სტრატეგიულ დაგეგმვას, შეიმუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას - ახორციელებს მონიტორინგს და შეფასებას მის შესრულებაზე.

სტრატეგიული განვითარების გეგმა ესაა უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის და მისი განხორციელების მიდგომების, პრინციპების და გზების ჩარჩო. დოკუმენტი აყალიბებს, როგორც უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ მიზნებს, ასევე ასახავს იმ ღონისძიებებს და მოქმედებებს, რომელთა განხორციელება აუცილებელია აღნიშნული მიზნების წარმატებით მისაღწევად. ამავდროულად, დოკუმენტი არ ზღუდავს უნივერსიტეტს განახორციელოს სხვა დამატებითი ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის განვითარებას და სტრატეგიის განხორციელებას ჩამოყალიბებული ჩარჩოების ფარგლებში. სტრატეგიის განხორციელება ითვალისწინებს მისი შესრულების რეგულარულ (წელიწადში ერთხელ) შეფასებას, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ასევე საგანმანათლებლო გარემოში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, სტრატეგიის გადახედვას, საჭიროების შემთხვევაში, ჩამოყალიბებული ჩარჩოს ფარგლებში ცვლილებების შეტანას და შემდეგი ორი წლის სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას.

სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მართვის კონცეპტუალურ-ინსტრუმენტული სისტემას, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის ფაქტობრივი მდგომარეობიდან სასურველ კონდიციამდე განვითარებას. მასში მოცემულია უნივერსიტეტის განვითარების ანალიზი; თანამედროვე გამოწვევები; უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები,

მიზნები; საუნივერსიტეტო გარემოს შეფასების (SWOT) ანალიზი; სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

საანგარიშგებო პერიოდში დასრულდა მუშაობა და ამოქმედდა უნივერსიტეტის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2018-2025 წლებისთვის (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 24 იანვრის №01-05/006 ბრძანებით).

სტრატეგიულ გეგმის პრაქტიკული განხორციელების მექანიზმს ქმნის მოკლევადიანი და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. ყოველწლიურად, სტრატეგიული გეგმის შესრულების შესახებ, უნივერსიტეტი აწარმოებს მონიტორინგს, ახდენს შეფასებას, რომლის შედეგებსაც განიხილავს აკადემიური კომიტეტი.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ინსტრუქცია განთავსებულია ვებ-გვერდზე, იხ. ბმული: http://www.gruni.edu.ge/footer_content/index/325/1447832401.

სტრატეგიული განვითარების ინსტრუქციის საფუძველზე შემუშავებულია ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა.

ბიზნესუწყვეტობის გეგმა

ბიზნესუწყვეტობის გეგმა (დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით №01-05/006, 24.01.2018) შემუშავებულია უნივერსიტეტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად კატასტროფის შემთხვევაში და მოიცავს ისეთი ღონისძიებების, პროცედურების, პროცესების ერთობლიობას, რომელიც განაპირობებს რისკებისა და მათი ზეგავლენის მინიმიზირებას უნივერსიტეტის საქმიანობისათვის შემაფერხებელი გარემოების დადგომის დროს ან საოპერაციო უწყვეტობის შენარჩუნებას შეზღუდული ინფრასტრუქტურული შესაძლებლობებით. ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. იხილეთ ბმული:

[http://www.gruni.edu.ge/uploads/files/brdzanebebi/debulebebi/ბიზნესუწყვეტობის%20გეგმა.p
df.](http://www.gruni.edu.ge/uploads/files/brdzanebebi/debulebebi/ბიზნესუწყვეტობის%20გეგმა.pdf)

სამოქმედო გეგმები

სტრატეგიული განვითარების გეგმებს ერთვის დანართები: სტრატეგიული განვითარების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმები და სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის საგზაო რუკა.

სამოქმედო გეგმა მოიცავს ღონისძიებების დეტალიზებულ ჩამონათვალს. მასში გამოკვეთილია შემდეგი ოთხი სტრატეგიული მიზანი:

1. სტუდენტთა ზრდის პერსპექტივის უზრუნველყოფა;
2. უნივერსიტეტის სამეცნიერო -კვლევის შედეგების ხარისხის გაუმჯობესება მეცნიერების განვითარებისა და საზოგადოებრივ მოთხოვნებზე ორიენტირებით;
3. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურების სისტემის განვითარება, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებისა და პროფესიული მობილობის ხელშეწყობა - სწავლა სიცოცხლის ბოლომდე - პრინციპის შესაბამისად;
4. უნივერსიტეტის მდგრადობის უზრუნველყოფა.

კონკრეტული სტრატეგიული მიზნის მიხედვით, სამუშაო გეგმაში აღწერილია ამოცანა, ღონისძიება (აქტივობა), ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები; განსაზღვრულია შესრულების (განხორციელების) პერიოდი, საპროგნოზო ბიუჯეტი, კონკრეტული შემსრულებელი (პასუხისმგებელი სტრუქტურა) და რისკების აღბათობა.

იხ. <http://www.gruni.edu.ge/uploads/files/brdzanebebi/debulebebi/სამოქმედო%20გეგმა.pdf>

შესრულების ანგარიშები

წინა წლების, მათ შორის, 2017 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულებისა და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ვადაგადაცილებული/ შეფერხებული პროექტების შესახებ ანგარიშები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. იხ. ბმული: http://www.gruni.edu.ge/menu_content/index/510.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

უნივერსიტეტის საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

დასახელება	31.12.2018	31.12.19	წინა წელთან შედარებით თანხობრივი სხვაობა	% წინა წელთან შედარებით
აქტივების ჯამური ღირებულება	10,913,457	8,000,968	-2,912,489	-27%
ერთობლივი შემოსავალი	4,623,896	7,597,057	2,973,161	64%
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	260	255	-5	-2%
მიმდინარე აქტივები	621,354	547,649	-73,706	-12%
გრძელვადიანი აქტივები	10,292,103	7,453,320	-2,838,783	-28%
სულ აქტივები	10,913,457	8,000,968	-2,912,489	-27%
მიმდინარე ვალდებულებები	1,774,804	1,849,047	74,243	4%
გრძელვადიანი ვალდებულებები	8,935,359	6,302,672	-2,632,687	-29%
მოგება/ ზარალი	-901960.24	-319494.45	582,466	-65%
სულ კაპიტალი	203,293	-150,751	-354,044	-174%
შემოსავალი რელიზაციიდან	4,623,896	7,597,057	2,973,161	64%

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანგარიშგებო პერიოდში ერთობლივი შემოსავლები (შემოსავლების რეალიზაციიდან) და მიმდინარე ვალდებულებების გარდა, სხვა მაჩვენებლის დინამიკა წინა წელთან შედარებით, უარყოფითია. ერთობლივი შემოსავლების (რეალიზაციიდან შემოსავლების) ზრდა განსაზღვრა განსაზღვრა კამპუსის (სტუდენტთა საცხოვრებელი შენობის) გაყიდვამ. აქედან გამომდინარეა ის, რომ აქტივების ჯამური ღირებულება, მათ შორის, მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების მოცულობა და ვალდებულებები შემცირდა. თუმცა ეს არ უკავშირდება და არ უქმნის საფრთხეს მის ფუნქციონირებას.

ისევე, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ცხადია, ცუდად აისახა Covid-19-თან დაკავშირებული პანდემია, მაგრამ ეს უკანასკნელიც, პროგნოზირებად მომავალში, საფრთხეს არ უქმნის უნივერსიტეტის ფუნქციონირებადობას.

სტუდენტები და თანამშრომლები სრული შეგნებით შეხვდნენ პანდემიის გამო შეცვლილ რეჟიმს. უნივერსიტეტის საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემა, პრაქტიკულად, მზად აღმოჩნდა ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რადგან მანამდეც აქტიურად გამოიყენებოდა სწავლების ელექტრონული მეთოდები, განსაკუთრებით ბათუმის ფილიალთან. უნივერსიტეტმა ჩაატარა სტუდენტთა გამოკითხვა, რომლის შედეგებით გამოიკვეთა სტუდენტთა შეგნებული დამოკიდებულება დისტანციური სწავლების მიმართ. ისინი, ანიჭებენ რა უპირატესობას სააუდიტორიო მუშაობას, აღნიშნავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად, მზად არიან კვლავ განაგრძონ ონლაინფორმატით სწავლა, მით უფრო, უნივერსიტეტის საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემა ადვილად მოსახმარი და სანდოა ტექნიკური თვალსაზრისით.

არა ორდინალური ვითარების მიუხედავად, უნივერსიტეტში არ შეწყვეტილა მისიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება, რაც იმის საწინდარია, რომ უნივერსიტეტი მომავალშიც გააგრძელებს საქმიანობას.

ანალიტიკური მაჩვენებლები

საქმიანობის შედეგებზე უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ანალიტიკური მაჩვენებლები:

ა) **მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი** (Current ratio) - მიმდინარე აქტივებით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის უნარი, მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდება. ეს მაჩვენებელი 2019 წლის ბოლოსათვის უდრის 0.3 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 2.0);

ბ) **სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი** (Quick ratio) – მიმდინარე ვალდებულებების კონვერტირებადი აქტივებით დაფარვის შესაძლებლობა შემოსავლების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმდინარე აქტივებისა და მარაგების სხვაობის თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან. 2019 წლის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 0.15 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 1.0);

გ) აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი (Absolute liquidity ratio) მოკლევადიანი ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვის შესაძლებლობა ანგარიშსწორების ანგარიშზე და ბანკებში სხვა ანგარიშზე ფულადი სახსრების ხარჯზე. თეორიულად საკმარისი მნიშვნელობაა 0,20-0,25. 2019 წლის ბოლოს იგი შეადგენდა 0,15 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2);

დ) კაპიტალიზაციის კოეფიციენტი (capitalization ratio) იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0,54 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი ნაკლებია 0.7);

ე) საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი (Providing funds for working capital ratio) იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0,3 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.5);

ვ) უკუგება აქტივებზე (Return on assets. ROA) მიუთითებს ფინანსურ უკუგებაზე გამოყენებული აქტივებიდან. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0,9 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.);

ზ) კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (Return on equity ROE) იგი ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება დაბანდებული სახსრები. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა -0.5 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.)

თ) უკუგება გაყიდვებზე - რენტაბელობა ((Return on sales ROS) იგი ასახავს გაყიდვების მომგებიანობას, იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა -4.2 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.15.)

ი) დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts receivable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენადაა დალაგებული ურთიერთობა კონტრაგენტებთან. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 4.6 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0)

კ) კრედიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის

განმავლობაში. იგი 2019 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 1,5 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0)

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, 2019 წელს უნივერსიტეტი არ გამოირჩეოდა მაღალი მაჩვენებლებითა და ფინანსური შედეგებით, რაც განაპირობა პერიოდის შიგნით დროებითი გარემოებების გამო შემცირებულმა შემოსავლებმა და გაზრდილმა ხარჯებმა. ასევე, ვალდებულებების მომსახურებამ, თუმცა საგანგაშოს ამ მდგომარეობას ვერ დავარქმევთ, მით უფრო, სტრატეგიული განვითარება ითვალისწინებს მოსალოდნელ რისკებსა და მათი განრიდების შესაძლებლობებსაც.

რისკები და მათი მართვის სტრატეგია

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

რისკების მართვის სტრატეგიით გათვალისწინებულია

რისკის კატეგორიები:

- მატერიალური რესურსის დაკარგვა/განადგურება;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დაზიანება;
- კომუნალური მომსახურების შეფერხება და სისტემის დაზიანება;
- საკომუნიკაციო-ტექნოლოგიური სისტემის დაზიანება/მომსახურების შეფერხება;
- ინსტიტუციური მდგრადობა.

რისკ-ფაქტორები

ბიზნესუწყვეტობის რისკ-ფაქტორად, უნივერსიტეტისთვის, დაადგენილია სამი ძირითადი ფაქტორი - ბუნებრივი მოვლენები, ადამიანური და ტექნიკური ფაქტორები.

ექსპერტული შეფასების საფუძველზე მოხდენილია რისკების იდენტიფიცირება, გაანალიზებულია და დაადგენილია უნივერსიტეტის ბიზნესპროცესზე მათი ზეგავლენისა და აღბათობის ხარისხი.

რისკების ალბათობის შეფასების განმარტება

ნაკლებად სავარაუდო - ეს შეფასება კეთდება მაშინ, როცა ბუნებრივი მოვლენის დადგომის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, მინიმუმ, უახლოესი ათი წლის ფარგლებში ან ასეთი მოვლენა ივარაუდება რამდენიმე წელიწადში ერთხელ (50-70 წელი).

მცირე - ინციდენტის დადგომის ალბათობის ხარისხი ძალიან დაბალია.

იშვიათი - ინციდენტის ალბათობა დაბალია, შეიძლება შემთხვევა წელიწადში რამდენჯერმე მოხდეს.

მოსალოდნელი - ინციდენტის ალბათობის ხარისხი მაღალია.

რისკების ზეგავლენის ხარისხის შეფასების განმარტება

დაბალი - მოვლენა, რომელიც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის საქმიანობის რიტმზე, მაგრამ არ იწვევს მის შეფერხებას.

საშუალო - მოვლენა, რომელიც აფერხებს, მაგრამ არ წყვეტს ბიზნესპროცესს ან გარკვეული დროის შემდეგ გამოიწვევს მის შეჩერებას.

მასშტაბური - მოვლენა, რომლის გავლენა უნივერსიტეტის ბიზნესპროცესზე მაღალია - ქმნის საფუძველს მისი შეჩერებისათვის/შეწყვეტისათვის.

ექსტრემალური - ბუნებრივი მოვლენა, რომელიც მოიცავს ქვეყნის მასშტაბებს ან ადამიანური/ტექნიკური ფაქტორით გამოწვეული ფართომასშტაბიანი ხანძარი, რომელიც იწვევს უნივერსიტეტის ფუნქციონირების პროცესის შეფერხებას ან შეჩერებას.

უნივერსიტეტის საქმიანობისას არსებულ რისკებს წარმოადგენს კონკურენცია, ახალი შენობის და კაპიტალური რესურსების განვითარების შეფერხება, მიმდინარე მოვლენებით განპირობებული სახელისუფლებო გადაწყვეტილებები, კვალიფიციური და უნიკალური აკადემიური ადამიანური რესურსების გადინება, ფინანსური მდგრადობა. აღნიშნული რისკების მართვისას უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ სტრატეგიას:

– კონკურენციის რისკის მართვისას უნივერსიტეტი აქცენტს აკეთებს უნიკალური ლაბორატორიული რესურსების გამოყენებით აგებული პროგრამებისა და ახალი მიზნობრივ მომხმარებელზე გათვლილი პროგრამების განვითარებაზე;

– ახალი შენობის და კაპიტალური რესურსების განვითარების შეფერხების რისკის მართვას უნივერსიტეტის ახორციელებს კარგად გააზრებული კაპიტალური განვითარების დაგეგმარების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და ნაწილობრივ გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმით;

მიმდინარე მოვლენებით განპირობებული სახელისუფლებო გადაწყვეტილებების რისკის მართვას უნივერსიტეტის უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების გამოყენებით საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მეშვეობით;

– კვალიფიციური და უნიკალური აკადემიური ადამიანური რესურსების გადინების რისკის მართვა ხორციელდება ორგანიზაციული განვითარების შედეგად განხორციელებული ცვლილების ხარჯზე შექმნილი ორგანიზაციული კულტურის და მოტივაციის სქემების დანერგვის მეშვეობით;

– ფინანსური მდგრადობის რისკის დაზღვევა ხორციელდება მართებული ფინანსური დაგეგმარების და ფინანსურ ინსტიტუტებთან და დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორობის მეშვეობით.

ამდენად, უნივერსიტეტს მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა გააჩნია, და მომავალში ორგანიზაციული განვითარების დასრულების შემდეგ იგი რისკების და კრიზისის მართვის გეგმასაც შეიმუშავებს.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის

უნივერსიტეტის დირექტორი

მ. თავხელიძე

- კონკურენციის რისკის მართვისას უნივერსიტეტი აქცენტს აკეთებს უნიკალური ლაბორატორიული რესურსების გამოყენებით აგებული პროგრამებისა და ახალი მიზნობრივ მომხმარებელზე გათვლილი პროგრამების განვითარებაზე;

- ახალი შენობის და კაპიტალური რესურსების განვითარების შეფერხების რისკის მართვას უნივერსიტეტის ახორციელებს კარგად გააზრებული კაპიტალური განვითარების დაგეგმარების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და ნაწილობრივ გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმით;

მიმდინარე მოვლენებით განპირობებული სახელისუფლებო გადაწყვეტილებების რისკის მართვას უნივერსიტეტის უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების გამოყენებით საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მეშვეობით;

- კვალიფიციური და უნიკალური აკადემიური ადამიანური რესურსების გადინების რისკის მართვა ხორციელდება ორგანიზაციული განვითარების შედეგად განხორციელებული ცვლილების ხარჯზე შექმნილი ორგანიზაციული კულტურის და მოტივაციის სქემების დანერგვის მეშვეობით;

- ფინანსური მდგრადობის რისკის დაზღვევა ხორციელდება მართებული ფინანსური დაგეგმარების და ფინანსურ ინსტიტუტებთან და დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორობის მეშვეობით.

ამდენად, უნივერსიტეტს მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა გააჩნია, და მომავალში ორგანიზაციული განვითარების დასრულების შემდეგ იგი რისკების და კრიზისის მართვის გეგმასაც შეიმუშავებს.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის დირექტორი



367

მ. თავხელიძე